განმარტებითი ბარათი

„ქალაქ თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებისა და სახელმწიფო ტყის ფონდის განსაკუთრებული დაცვის შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღების მიზეზია თბილისის სხვადასხვა უბნებში მიწის ნაკვეთების პრივატიზაციის პროცესის შედეგად ქალაქის მწვანე საფარის ინტენსიური განადგურება. მწვანე ნარგავებით დაფარულ ტერიტორიას, გარდა ესთეტიურისა, აკისრია დასახლებული პუნქტების ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებისგან დაცვის უმნიშვნელოვანესი ფუნქცია, განსაკუთრებით მტვრისგან დაცვის კუთხით. ერთი ზრდასრული მცენარე შთანთქავს იმდენ ნახშირორჟანგს და გამოყოფს ჟანგბადს, რამდენიც ყოფნის ერთ ადამიანს მთელი დღის განმავლობაში. ამ მხრივ თბილისში უმწვავესი მდგომარეობაა შექმნილი. 2013 წელს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ ჩატარებული კვლევებით დადგინდა, რომ ქალაქის მთელ რიგ უბნებში მტვრის კონცენტრაცია ატმოსფერულ ჰაერში 7-ჯერ აღემატება ზღვრულად დასაშვებ ნორმას, ხოლო ნახშირჟანგისა 3-ჯერ. შექმნილი უმძიმესი მდგომარეობის შედეგებზე მეტყველებს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მონაცემები, რომელთა თანახმადაც სასუნთქი გზების (ბრონქების) ქრონიკული ავადმყოფობებით დაავადებულთა რაოდენობა 2007 წელთან გაზრდილია 23%-ით, დაავადების შემთხვევათა რაოდენობა 58%-ით. განსაკუთრებით გაზრდილია ფილტვების ქრონიკულ დაავადებათა შემთვევები - დაავადებულთა რაოდენობა 165%-ით, ხოლო შემთხვევათა რაოდენობა 70%-ით.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ქ.თბილისში და მიმდებარე ტერიტორიაზე მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების პრივატიზაციისა და იქ არსებული მცენარეების ჭრის პირობების გამკაცრება, აგრეთვე ქალაქის ფარგლებში განსაკუთრებული რეკრეაციული ზონების შექმნის პროცედურაში ქ. თბილისის საკრებულოს ჩართვა.

კანონპროექტის მიზანია, ქ. თბილისის ტერიტორიაზე განსაკუთრებული რეგულირების საკრეაციო ზონის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობისთვის მიმართვის უფლება მიენიჭოს ქ. თბილისის მერს, რომელიც უნდა იქნას შეთანხმებული ქ. თბილისის საკრებულოსთან და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან.

ამასთან, კანონპროექტი მიზნად ისახავს, გარკვეული შეზღუდვების დაწესებას პირველ, მე-2 და მე-3 კატეგორიას მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისებისა და მათზე მშენებლობის განხორციელებასთან დაკავშირებით. კერძოდ - მე-2 და მე-

3 კატეგორიებს მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარულ ტერიტორიაზე მშენებლობის განხორციელებისას მწვანე ნარგავების ჭრის დროს განხორციელდეს ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებები.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი ცვლილებით, ქ. თბილისის ტერიტორიაზე განსაკუთრებული რეგულირების საკრეაციო ზონის შექმნის შესახებ საქართველოს მთავრობისთვის მიმართვის უფლება ექნება ქ. თბილისის მერს ქ. თბილისის საკრებულოსთან და საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან შეთანხმებით.

ამასთან, ცვლილების მიხედვით, აიკრძალება პირველ კატეგორიას (ბაღების, პარკებისა და სკვერების ნარგავები, ქალაქის ისტორიულ ნაწილში არსებული ნარგავები, პროსპექტების, გზატკეცილების, ცალკეული მაგისტრალებისა და ქუჩების ნარგავები, ნარგავები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ როგორც ნიადაგდამცავებსა და წყალმარეგულირებლებს) მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისება გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

ხოლო მე-2 (საბავშვო ბაღების, სკოლების, საავადმყოფოებისა და ფაბრიკა ქარხნების ტერიტორიებზე არსებული სპეციალური დანიშნულებისა და შეზღუდული სარგებლობის ნარგავები) და მე-3 (ნარგავები, რომლებიც არ შედის პირველ და მეორე კატეგორიებში) კატეგორიებს მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისების და მათზე მშენებლობის განხორციელების დროს, მწვანე ნარგავების ჭრა დასაშვები იქნება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელებით.

წარმოდგენილი კანონპროექტით ახლებური რედაქციით ყალიბდება კანონის, პირველი მუხლის პირველი პუნქტი, სადაც ქ.თბილისის საზღვრებში და მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ტყის და სახელმწიფო ტყის ფონდის ნაცვლად, განისაზღვრება ტერმინი მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორია, რაც განპირობებულია იმ გარემოებით, რომ ,,სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრის დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს N299 დადგენილებიდან გამომდინარე, ქ.თბილისის და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სახელმწიფო ტყის ფონდი არ არსებობს.

წარმოდგენილი კანონპროექტის მე-5 მუხლით, ახლებურად განისაზღვრა და გაიზარდა ხე-მცენარეებისათვის აღდგენითი ღირებულებების დაგენის წესი.

წარმოდგენილი კანონპროექტით, კანონის მე-6 მუხლს ემატება მე-5 პუნქტი, რაც ითვალისწინებს გარკვეული შეზღუდვების დაწესებას პირველ, მე-2 და მე-3 კატეგორიას მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისებისა და მათზე მშენებლობასთან დაკავშირებით. კერძოდ, პირველ კატეგორიას მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისება იკრძალება გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხოლო მე-2 და მე-3 კატეგორიის შემთხვევაში მწვანე ნარგავების ჭრა დასაშვებია გამონაკლის შემთხვევებში, მხოლოდ ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების განხორციელებით. აღნიშნული შეზღუდვა განპირობებულია უკანასკნელ პერიოდში ქ.თბილისის და მის

მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისებისა და მათზე მშენებლობის განხორციელების საკითხის აქტუალურობიდან და აღნიშნულთან დაკავშირებით წარმოშობილი პრობლემებიდან გამომდინარე. შესაბამისად, მსგავსი შეზღუდვები ხელს შეუწყობს პირველ კატეგორიას (ბაღების, პარკებისა და სკვერების ნარგავები, ქალაქის ისტორიულ ნაწილში არსებული ნარგავები, პროსპექტების, გზატკეცილების, ცალკეული მაგისტრალებისა და ქუჩების ნარგავები, ნარგავები, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვთ როგორც ნიადაგდამცავებსა და წყალმარეგულირებლებს) მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისების აკრძალვას გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა, ხოლო მე-2 (საბავშვო ბაღების, სკოლების, საავადმყოფოებისა და ფაბრიკა ქარხნების ტერიტორიებზე არსებული სპეციალური დანიშნულებისა და შეზღუდული სარგებლობის ნარგავები) და მე-3 (ნარგავები, რომლებიც არ შედის პირველ და მეორე კატეგორიებში) კატეგორიებს მიკუთვნებული მწვანე ნარგავებით დაფარული ტერიტორიების გასხვისების და მათზე მშენებლობის განხორციელების დროს, მწვანე ნარგავების ჭრა შესაძლებელი იქნება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, იმის გათვალისწინებით, რომ აუცილებლად განხორციელდება ბიომრავალფეროვნებისათვის მიყენებული ზემოქმედების შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებები.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტი არ იწვევს დამატებით ხარჯებს სახელმწიფო ან თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონპროექტმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონპროექტი არ ახდენს გავლენას ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონპროექტი არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტმა შესაძლოა გავლენა მოახდინოს იმ პირებზე, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტი ზრდის აღდგენითი ღირებულების გადასახადს.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონპროექტი შეესაბამება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს და შეთანხმებებს.

დ) კანონპროექტისმომზადებისპროცესშიმიღებულიკონსულტაციები:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში;

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ეროვნული სატყეო სააგენტოს ექსპერტები, ა(ა)იპ „უსაფრთხო სივრცე".

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი

საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ცაგარეიშვილი

ვ) კანონპროექტის ინიციატორი

საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ცაგარეიშვილი